

შპს ერთობა 2018

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა	3
ფინანსური მდგომარეობის (ინდივიდუალური) ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის.....	4
საქმიანობის შედეგების (ინდივიდუალური) ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის	5
კაპიტალის ცვლილების (ინდივიდუალური) ანგარიშგება.....	6
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის	6
ფულადი სახსრების მოძრაობის (ინდივიდუალური) ანგარიშგება	7
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის	7
1. ზოგადი ინფორმაცია.....	8
2. მომზადების საფუძელი	9
3. ფუნქციონალური ვალუტა	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დამხმარებები	9
6. გაცემული სესხები და მათზე დარიცხული პროცენტები.....	10
7. არამატერიალური აქტივები	11
8. ფული და ფულის ექვივალენტი.....	11
9. საწესდებო კაპიტალი	11
10. გაუნაწილებელი მოგება	11
11. გრძელვადიანი ვალდებულებები.....	11
12. მიმდინარე ვალდებულებები	11
13. ცვეთა და ამორტიზაცია	12
14. სხვა ადმინისტრაციული ხარჯი.....	12
15. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები	12
16. სავალუტო და სხვა რისკები	12
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12
18. ანგარიშგების დამტკიცება.....	12

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ერთობა 2018“-ის („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, საკუთარი კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ცვლილებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და აღქმად ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული ტრანზაქციის, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის ტრანზაქციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს

ზვიად მეფარიშვილი
დირექტორი

გეორგი ციმაკურიძე
ფინანსური მენეჯერი

შპს „ერთობა 2018“

ფინანსური მდგომარეობის (ინდივიდუალური) ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის
(ლარებში)

		<u>31 დეკ 2024</u>	<u>31 დეკ 2023</u>
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გაცემული სესხები	5	28,059,288	28,059,288
დარიცხული პროცენტები	5	8,107,145	4,027,431
არამატერიალური აქტივები	6	-	252
სულ გრძელვადიანი აქტივები		36,166,433	32,086,971
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	122	182
სულ მიმდინარე აქტივები		122	182
სულ აქტივები		36,166,555	32,087,154
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	25,375,000	25,375,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	9	10,791,384	6,711,983
სულ საკუთარი კაპიტალი		36,166,384	32,086,983
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები	10	-	-
ვალდებულებები კომპანიის თანამშრომლების			
წინაშე	11	171	171
სულ მიმდინარე ვალდებულებები		171	171
სულ ვალდებულებები		171	171
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		36,166,555	32,087,154

ზვიად მეფარიშვილი
დირექტორი

გიორგი ციმაკურიძე
ფინანსური მენეჯერი

შპს „ერთობა 2018“

საქმიანობის შედეგების (ინდივიდუალური) ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული პერიოდისათვის

(ლარებში)

		2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	5	4,079,714	3,545,866
შრომის ანაზღაურება	12	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	13	(252)	(356)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	14	(60)	(396)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე გაგრძობითი ოპერაციებიდან		4,079,402	3,545,114
მოგება (ზარალი) დაბეგვრის შემდეგ გაგრძობითი ოპერაციებიდან		4,079,402	3,545,114
შეწყვეტილი ოპერაციები		-	-
გაცემული დივიდენდები		-	-
სრული შემოსავალი (total comprehensive income)		4,079,402	3,545,114

ზვიად მეფარიშვილი
დირექტორი

გიორგი ცოშკურიძე
ფინანსური მენეჯერი

შპს „ერთობა 2018“

კაპიტალის ცვლილების (ინდივიდუალური) ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის

(ლარებში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 01.01.2022	26,975,045	9,874,768	36,849,813
საწესდებო კაპიტალის ზრდა	4,200,000	-	4,200,000
საწესდებო კაპიტალის ფულადი შემცირება	(9,681,118)	-	(9,681,118)
წლის მოგება	-	(3,617,900)	(3,617,900)
მოგების განაწილება	-	(3,090,000)	(3,090,000)
ნაშთი 31.12.2022	21,493,927	3,166,868	24,660,795
საწესდებო კაპიტალის ზრდა	3,885,000		3,885,000
საწესდებო კაპიტალის ფულადი შემცირება	(3,927)		(3,927)
წლის მოგება		3,545,114	3,545,114
მოგების განაწილება	-	-	-
ნაშთი 31.12.2023	25,375,000	6,711,983	32,086,983
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-		-
საწესდებო კაპიტალის ფულადი შემცირება	-		-
წლის მოგება		4,079,402	4,079,402
მოგების განაწილება	-	-	-
ნაშთი 31.12.2024	25,375,000	10,791,384	36,166,384

ზვიად მეფარიშვილი
დირექტორი

გიორგი ციმაკურიძე
ფინანსური მენეჯერი

შპს „ერთობა 2018“


ფულადი სახსრების მოძრაობის (ინდივიდუალური) ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის

(ლარებში)

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობაზე დახარჯული ფულადი სახსრები		
სარეგისტრაციო მოსაკრებელი	-	(200)
ბანკის საკომისიოები	(60)	(196)
სულ საოპერაციო საქმიანობაზე დახარჯული ფულადი სახსრები	(60)	(396)
საინვესტიციო საქმიანობა		
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(252)	(356)
გაცემული სესხის დაბრუნება		4,500
მიღებული პროცენტები		
სულ საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ფულადი გასავლები	-	4,500
ფინანსური საქმიანობა		
დივიდენდის გაცემა		
კაპიტალის შემცირება	-	(3,927)
სულ ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	(3,927)
სულ ცვლილება	(60)	178
საწყისი ნაშთი	182	5
საბოლოო ნაშთი	122	182

ზვიად მეფარიშვილი
დირექტორი



გიორგი ციმაკურიძე
ფინანსური მენეჯერი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ერთობა 2018“ (405255753) დაფუძნდა 2018 წლის 27 თებერვალს.

კომპანიის 100% მეწილეა ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია, რომლის აქციონერებიც თავის მხრივ წარმოდგენილია სს ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას საჯარო ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მფლობელები და მათი კუთვნილი პირდაპირ ფლობილი წილები იყო:

აქციონერები	წილი	საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები
„გლობალ ინვესტორს ლიმიტედი“	62.50%	სამსონ ფხაკაძე - 50% ლევან ფხაკაძე - 50%
„პელვეცია პეტროლიუმ ჰოლდინგი ბ.ვ.“	25.00%	გიორგი რამიშვილი - 62% ალექსი თოფურია - 28.5% დევიდ ბორგერი - 9.5%
ნუგზარ აბრამიშვილი	6.25%	
ლევან ფხაკაძე	6.25%	
100.00%		

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სხვადასხვა მაკონტროლებელი მხარის მიერ ფლობილი ეფექტური წილები იყო:

საბოლოო	ფლობილი წილი
ლევან ფხაკაძე	37.50%
სამსონ ფხაკაძე	31.25%
გიორგი რამიშვილი	15.50%
ნუგზარ აბრამიშვილი	6.25%
ალექსი თოფურია	7.12%
დევიდ ბორგერი	2.38%
სულ	100.00%

მფლობელთა ეფექტური ხმის უფლებები მათი ეფექტური ფლობილი წილებისგან არ განსხვავდება.

2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას აქციონერთა სტრუქტურა მცირედით შეიცვალა რაც აღწერილია ანგარიშგების შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

კომპანიას აქვს გაცემული სესხები დაკავშირებულ პირებზე.

კომპანიას არ ჰყავს შვილობილი ან მეკავშირე საწარმოები, ის არ ფლობს წილს არცერთ სხვა კომპანიაში.

2. მომზადების საფუძელი

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის არსებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა მოამზადა იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს მოქმედებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რაც გულისხმობს იმას, რომ ის განჭვრეტად მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის მიმდინარეობისას.

3. ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ლარი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიას სესხები გაცემული აქვს გაცემის მომენტში ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული საბაზრო განაკვეთებთან ადექვატურ პროცენტში (იხ. შენიშვნა 6), შესაბამისად პროცენტის დარიცხვა ხდება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნიშნულის მიხედვით.

სესხებზე არ არის გათვალისწინებული გაცემის ან რაიმე ტიპის საკომისიო და შესაბამისად ეფექტური განაკვეთი ტოლია ხელშეკრულებაში დაფიქსირებული პროცენტისა.

კომპანიას აღარ გააჩნია უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები, შესაბამისად საკურსო და გადაფასების თემები ანგარიშგებაში აქტუალური აღარ არის.

სესხების რეზერვირებასთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა 16.

არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათზე გაწეული დანახარჯის შესაბამისად, არ ხდება მათი გადაფასება და მათი ამორტიზაცია მიმდინარეობს წრფივი მეთოდით. წრფივი მეთოდით სრულად ამორტიზებული აქტივების გადაფასება აღარ ხდება.

ფინანსური ანგარიშგების იმ მუხლების შესაბამისი ოდენობა რომელიც წინამდებარე ანგარიშგებაში მითითებული არ არის ნულის ტოლია.

კომპანიის ფინანსური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის კი გამოყენებულია საკასო მეთოდი.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის შეფასებით გაცემული სესხების ხელშეკრულებაში გაწერილი განაკვეთები ადექვატურია საბაზრო პროცენტებისა.

კომპანიის შეფასებით გაცემულ სესხებზე შეთანხმებული პირობა ძირის პროცენტამდე დაფარვის შესახებ მატერიალურ გავლენას არ ახდენს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე. პროცენტის კაპიტალიზაციის პირობის არარსებობის გავლენა ეფექტურ განაკვეთზე არ შეფასებულა.

კომპანიის ერთადერთი არამატერიალური აქტივის (საბუღალტრო პროგრამის) სასიცოცხლო ციკლი განსაზღვრული იყო 5 წლის, ნულოვანი სალიკვიდაციო ღირებულებით. 2024 წლის ბოლოსათვის აქტივი სრულად იყო ამორტიზებული, თუმცა მისი გადაფასება არ მომხდარა

(კომპანიის შეზღუდული საქმიანობიდან გამომდინარე ამ აქტივის გამოყენების საჭიროება ნაკლებად რელევანტურია).

მე-12 შენიშვნაში ხსენებული ვალდებულებაზე უარის თქმა არ იწვევს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მატერიალურ ცვლილებას.

ანგარიშგება შედგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე.

6. გაცემული სესხები და მათზე დარიცხული პროცენტები

ქვემოთ მითითებულ ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ. კომპანიას არ აქვს სესხზე შეთანხმებული დაბრუნების გრაფიკი.

სესხის მიმღები	სს სმარტ რითეილი
სესხის ვალუტა	ლარი
პროცენტი	14.5%
ნაშთი 31.12.2023	32,086,720
მ.შ. ძირი	28,059,288
დარიცხული პროცენტი	4,027,431
სესხის გაცემა	-
ძირის დაბრუნება	-
პროცენტის დარიცხვა	4,079,714
პროცენტის დაბრუნება	-
ნაშთი 31.12.2024	36,166,433
მ.შ. ძირი	28,059,288
დარიცხული პროცენტი	8,107,145

7. არამატერიალური აქტივები

კომპანიამ 2019 წელს შეიძინა საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა, რაც სრულად ამორტიზირდა 2024 წელს.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში მოცემული ამორტიზაცია აგრეთვე სრულად წარმოადგენს ამ ერთადერთი არამატერიალური აქტივის ამორტიზაციას.

8. ფული და ფულის ექვივალენტი

კომპანიის ფულის სრული ბრუნვა ხდება მის ერთადერთ საბანკო ანგარიშზე თიბისი ბანკში.

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება სს ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას მიერ შემოტანილი მოთხოვნის უფლებებისაგან (გაცემული სესხები) და სს ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას მიერ შემოტანილი თანხებისაგან (რომელიც აგრეთვე გაიცა სესხად).

კომპანია სესხებიდან ამოღებულ თანხას აბრუნებდა აქციონერთან, კაპიტალის შემცირების გზით.

კომპანიას აქციონერისაგან საწესდებო კაპიტალის ჩარიცხვისას მიღებული ქონდა დამატებით 100 ლარი, რომელიც კომპანიამ გაანულა ხანდაზმულობის გამო.

2023 წელს მოხდა კაპიტალის ზრდა **3'885'000** ლარით, ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას სესხის დათმობის ხარჯზე. ასევე, 2023 წელს ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიამ აანაზღაურა **3'927** ლარი, რითაც შეამცირა კომპანიის კაპიტალი. ჯამურად 2023 წელს კომპანიის კაპიტალი გაიზარდა **3'881'073** ლარით.

2024 წელს კომპანიის კაპიტალი არ შეცვლილა.

10. გაუნაწილებელი მოგება

კომპანიის 2024 წლის შედეგი სრულად დაემატა გაუნაწილებელ მოგებას.

11. გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიას არ გააჩნია გრძელვადიანი ვალდებულებები.

კომპანიას აგრეთვე არ გააჩნია რაიმე სახის პირობითი ვალდებულებები ან გარანტიები/დაპირებები (commitments).

12. მიმდინარე ვალდებულებები

კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები შედგებოდა მე-9 შენიშვნაში ხსენებული აქციონერის ზედმეტად ჩარიცხული 100 ლარისაგან და თანამშრომლების წინაშე არსებული ვალდებულებებისაგან.

თანამშრომლების წინაშე არსებული ვალდებულებები გამომდინარეობს 2018-2019 წლებიდან, დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გასული წლების ანგარიშგებები.

13. ცვეთა და ამორტიზაცია

კომპანიას გააჩნდა ერთადერთი ამორტიზებადი აქტივი, საბუღალტრო პროგრამა (იხ. შენიშვნა 7), რომელიც 2024 წლის განმავლობაში სრულად ამორტიზდა.

14. სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

2024 წელს კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯი შეადგენდა 60 ლარს, რომელიც ძირითადად მოიცავდა ინტერნეტბანკის სისტემით სარგებლობის საკომისიოს.

15. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები

კომპანიის ყველა ტრანზაქცია, გარდა საბანკო საკომისიოებისა, არის დაკავშირებულ მხარეებთან.

16. სავალუტო და სხვა რისკები

კომპანია არ ახდენს სესხების რეზერვირებას და მენეჯმენტის დაშვებით სესხები არის სრულად ამოღებადი. კონსერვატიული დაშვებებით კომპანიის აქციონერის მიერ მოხდენილია აქტივების გაუფასურება. რისი ასახვაც გაანულებდა აქტივებს (იხილეთ სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას საჯარო ფინანსური ანგარიშგება).

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიის ერთადერთი აქციონერის სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას სადამფუძნებლო სტრუქტურა შეიცვალა 2025 წლის განმავლობაში და მიმდინარე მდგომარეობით არის შემდეგი სახით:

აქციონერები	წილი	საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები
„გლობალ ინვესტორს ლიმიტედი“	68.75%	სამსონ ფხაკაძე - 50% ლევან ფხაკაძე - 50%
„ჰელვეცია პეტროლიუმ ჰოლდინგი ზ.კ.“	25.00%	გიორგი რამიშვილი - 62% ალექსი თოფურია - 28.5% დევიდ ბორგერი - 9.5%
ნუგზარ აბრამიშვილი	6.25%	
	100.00%	

18. ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს.